




# სახალხო ფურცელი

საქართველოს ენობრივი ჟურნალი

გაერთიან. № 288


ფურცლის № 52

შაბათი, 23 მაისი 1915 წ.



გ.გ.ა

ვაჟა-ფშაველა




დანსულის სპილენძის მადნების ქარხნები მურლულის ხეობაში  
(ბათუმის ოლქი).

## სიელერა

ბალლი რასაცა ვხედავდი  
 იმასვე ვხედავ დღესაცა;  
 რაც ადამის დროს ჰქონია  
 ის გულივე აქვ დედასა,—  
 მეტი შვილისთვის ერთგული  
 არ ჰყავ ჩემ თვალთა ხედვასა.  
 რაც უნდ სთქვით ყველაზე მეტად  
 ღმერთი ამშვენებს ზეცასა.  
 ვაჟკაცს—სამშობლოს ტრფიალი  
 თუ შესძლებს, გაიბედავსა,—  
 თავს დასდებს მამულისათვის,  
 გულში იმრავლებს კენესასა.  
 მკვდარს—საიჭიოს ცხონება  
 აქ—სანეტარო სახელი:  
 როს ყველას გულში უნთია  
 მის სახე როგორც სანთელი.  
 დიან ძველებრივ ნისლები  
 უცვალებელის წესითა,  
 არა დგებიან ერთ ალაგს  
 უფესვოები ფესვითა.  
 გაზაფხულს მოსდევს ზაფხული  
 და შემოდგომას—ზამთარი  
 ყველას ჰყავ თვისი მხლებელი  
 როგორაც ქორწილს მაყარი,  
 მზე გვათბობს, სიცივე გვეყინავს,  
 დარდი გვაოხრებს, გვატირებს.  
 ტრფიალი გვეკონის პირშია,  
 მტრობა მუშტს შემოგვაღირებს.  
 კოცნა შვილია ტრფობისა,  
 ფურთხი და მტრობა—ზიზღისა  
 მუდამაც ასე იქნება  
 ვინც სოფლის წესი იცისა.  
 ვნებათა იგივეობა  
 წესია დედა-მიწისა.  
 დღევანდელი ყმა იქნება  
 ხვალ, ზეგ ბატონად ხდებოდეს  
 ხვალ ოქროს ტახტი დაიდვას,—  
 ვინც მონობაში კვდებოდეს.  
 თუ წინად ასე მომხდარა  
 დღესაც ასევე იქნება  
 გამეორება არ მოხდეს  
 ისე ვერ გარდაიქმნება  
 ადამიანის სიცოცხლე  
 და მასთან მთელი ბუნება.  
 მიტომ ვმღერ დაუცხრომელად  
 საფლავშიც ჩავალ მღერითა:  
 ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,  
 ტანჯულ ქართველი ერთია!

ვაჟა-ფშაველა.



პატარა აქარელი.

## ბ უ რ უ ს ი

პიესა სამ მოქმედებად.

(შემდეგი \*)

**მ ო ქ მ ე დ ე ბ ა მ ა ს ა მ ი .**

სცენა პირველი მოქმედებისაა.

(შემოვლენ **ბაბო** და **ნესტორ**).

**ბაბო.** უკანასკნელად, უკანასკნელად.  
(პიანინოსთან მიდის. დაჯდება და დასაკრებლად ემზადება).

**ნესტორ.** ძალიან გწყინს, ბაბო, აქიდან წასვლა?

**ბაბო.** როგორ გითხრა. ჰოც და არაც.

**ნესტორ.** როგორ გავიგო?

**ბაბო.** აქაურობასთან, ნესტორ, შეკავშირებულია ჩემი სამუსიკო განვითარების პირველი ნაბიჯი. აქ ვტოვებ ისეთს ხალხს, რო-

\*) იხ. სურათებიანი დამატება № 51.



ჯ.-კ. შაქრო გოდერძაშვილი (დაჭრილი).



პრავ. ვლადიმერ მენაგარიშვილი (დაჭრილი).



ჯ.-კ. შაქრო სოლომ. მჭედლიშვილი (უკვალოდ დაიკარგა).

ელსაც შევეჩვიე და რომლებმაც დიდი მონაწილეობა მიიღეს ჩემს ღმერთში.

**ნესტორ.** თითქოს სამუდამოდ ეთხოვებოდე თეკლეს და დათას?  
**ბაბო.** ასე მგონია ნესტორ, სამუდამოდ ვეთხოვები.

**ნესტორ.** რისთვის გგონია ასე?  
**ბაბო.** მართალია, ჯერ ძალიან ახალგაზრდა და გამოუცდელი ვარ, მაგრამ რად ფიქრობ, რომ მე არ ვიცი აქედან წასვლის მიზეზი?

**ნესტორ.** მაინც?  
**ბაბო.** ეს ხომ შერც კარგად იცი?

**ნესტორ.** ვთქვათ, მე ვიცი, მაგრამ მაინც მინდა შენგან გავიგო.  
**ბაბო.** საკვირველია, ნუ თუ არ შეიძლება სხვა ნაირი სიყვარული...

**ნესტორ.** აჰა, მაშ გცოდნია.  
**ბაბო.** ო, როგორ ვიფიქრებდი, რომ მე თეკლეს მწუხარების მიზეზად გავხვდებოდი.

**ნესტორ.** შენ რა შუაში ხარ...  
**ბაბო.** რა თქმა უნდა, მე არაფერ შუაში ვარ.

(როიალზე უკრავს. ნესტორ ბაბოს მისჩერება. ბაბოს ნესტორი თმაზე ხელს გადაუსვამს. ბაბო შეკრთება. დაკვრას შესწყვეტს და ნესტორს სიყვარულით შეხედავს).

**ნესტორ.** ბაბო! (ფრთხილად, ნაზად აკოცებს).  
**ბაბო.** ნესტორ, ჩემო პირველო, ჩემო სასურველო!

**ნესტორ.** მაშ კიდევ, კიდევ! (ბაბო წამოდგება. გადახვევიან და ერთმანეთს გაშმაგებით ჰკოცნიან) გიყვარვარ, გიყვარვარ, ბაბო! მართალია, ამას სულ ვგრძნობდი, მაგრამ ხომ იცი გრძნობა იკვიანობასა ჰბადებს და მეც არ ვიყავი მოსვენებული.

**ბაბო.** საკვირველია, ნუ თუ შენ არ იყავი დარწმუნებული ჩემს ღმერთში გრძნობაში?  
**ნესტორ.** ვიყავი, ვიყავი, ბაბო, მაგრამ ადამიანის გული დაუნდობელია. ისიც სათქმელია, რომ...

**ბაბო.** რომ დათას...  
**ნესტორ.** რომ დათას უყვარხარ, და შენც თავიდან გამსჭვალული ხარ მისდამი ღმერთი პატივისცემით.

**ბაბო.** ო, დათას მართლაც დიდს პატივსაცემს. რისთვის, რისთვის მოეწყო სხვაფრივად ჩვენი ცხოვრება.  
**ნესტორ.** არ ინაღვლო, ბაბო. მერწმუნე, ყველაფერი მოწესრიგდება. შენ ეხლა წახვალ სოფელში. ცოტა ხნის შემდეგ მეც იქ ჩამოვალ. ო, როგორ მსურდა შენთან ერთად წამოსვლა... მაგრამ არ ივარგებდა და აკი მეც დავსთმე.

**პლატონ.** (გამოდის) ბაბო, მოემზადე. მგონია, წასვლის დრო არის.  
**ბაბო.** ეხლავე, ბატონო პლატონ. მე თითქმის მზადა ვარ. (გადის).

**პლატონ.** მაშ ასე, შეილო, ბევრს ნურც შენ დაიგვიანებ. თუ თეკლეს წამოიყვან, კარგი იქნება. კაცო, დაიტანჯა ქალი. არ გეკადრებათ, ღმერთს გეფიცები, არ გეკადრებათ ასეთი საქციელი.  
**ნესტორ.** ვეცდები, მამა, თუმცა არ მგონია თეკლე წამოვიდეს.  
**პლატონ.** რისთვის, შეილო, რისთვის? აბა მითხარი, რა ხდება ეს ჩვენს თავზე? რამ შეშალა ის ბიჭი. დაგელოცა ღმერთო სახელი.  
**ნესტორ.** ყოველ შემთხვევაში, მამა, დათა პატიოსანი ადამიანია და თუ კარგად ვერ მოიქცა, ეს გარემოებამ მოიტანა.  
**პლატონ.** შე დალოცვილო, პატიოსნობა საქმეში უნდა გამოიჩინო, თორემ რასა ჰგავს ეს? აღმასივით ცოლი ჰყავს და სხვებს უნდა ეპოტინებოდეს! შე კაი კაცო, ჩვენც გვიცხოვრია ქვეყანაზე. ჩვენც ყველაფერში შენ იქნები.

გამოგვიცდია გრძნობა, სიყვარული. ჰო, როგორ ფიქრობ, განა ჩვენ პირუტყვეები ვართ, სიყვარული არ ვიცი, რა არის? ჰო და ამ სიყვარულის დროს ისიც მომხდარა ხოლმე, რომ სხვა ქალი მოგვწონებოდა. მაგრამ ყველაფერს თავის რიგი აქვს, ყველაფერში თავდაჭერილობაა საჭირო, როგორ შეიძლება, როგორ შეიძლება ცუდი რამ იფიქრო იმ გოგოზე, ბაღვზე, რომელიც შენს ჰერს ქვეშ ცხოვრობს! ო, არ ვარგა, შეილო. არ ვარგა. ახლა და შენც რას აპირობ? როგორცა სჩანს, შენც მიგდის იმ გოგოზე გული. დაგელოცა ღმერთო სახელი, რად გააჩინე ეს აღმასხანას გოგო ჩემი ოჯახის დასამწუხარებლად!

**ნესტორ.** მამა, ამაზე ნუ ვილაპარაკებთ. ყოველ შემთხვევაში მე უკვე მომწიფებული ვარ იმისთვის, რომ თავისუფლად ამოვირჩიო ჩემი საცოლო.

**პლატონ.** შე დალოცვილო, შენ თუ მომწიფებული ხარ, დათა ხომ სულ გადამწიფებულია, მაგრამ ხომ ხედავ მისი სიმწიფის ნაყოფს. ნუ დაივიწყებ, რომ მაგ გოგოს გულისათვის ძმებს უსიამოვნება მოგივიათ. ისა სჯობია, შეილო, ერთმანეთში თანხმობით და სიყვარულით იცხოვროთ, ვიდრე ვილაც გოგოს გადაეკიდო და ამით უთანხმოება დასთესო...

**ნესტორ.** ვნახოთ, ვნახოთ, მამა! ჯერ-ჯერობით არაფერი ითქმის.  
**პლატონ.** (ხმას უმაღლებს) როგორ თუ ვნახოთ! რა ვნახოთ? ვრიპა! ნუ გამომიყვანე მოთმინებიდან, თორემ...

**ნესტორ.** დაწყნარდი, დაწყნარდი, მამა...  
**პლატონ.** (სიბრაზით) დაეწყნარდე, დაეწყნარდე! როგორ დაეწყნარდე, თუ დაწყნარება არ შეიძლება. გიყვები ყოფილხარტ, სინიდისი და პატიოსნება დაკარგული გქონიათ. აბა, რასა ჰგავს ჩვენი საქმე. ვნახოთ, ვისი გაიტანს. ერთს კვირაში მოხდება რომ იგი თქვენი ბაბო სხვაზე ჯვარს დაიწერს. მერე რაც გინდათ, ის ჩაიღინეთ. აი, აი სწორედ ერთს კვირაში მოხდება ეს ამბავი.

**ნესტორ.** მამა, ნუ თუ ამისთვის მიგყავს ბაბო?  
**პლატონ.** სწორედ, სწორედ ამისთვის მიმყავს.  
**ნესტორ.** მამა, ეს შეუძლებელია.  
**პლატონ.** შესაძლებელია, ნახავ, რომ შესაძლებელია. დამჯანბნეთ არა? მე ჩემსას ვიზამ და მერე თქვენ თავი ქვას ახალეთ. სულერთია, თუ ასეთები ხართ, თქვენი სიცოცხლე მაინც არ ღირს. (შემოდინ თეკლე და ბაბო).

**თეკლე.** მაშ, ვერაფერს გავხვდი, მამა, ბაბო უნდა წამართვათ არა?  
**პლატონ.** მე რა შუაში ვარ, შეილო, მამამ მოისურვა მისი წაყენა, აბა მითხარი, რა უფლება გვაქვს მამას შეილი დაუკავოთ.

**თეკლე.** თუ ასეა, რა გავწყობა. უშენოთ ძალიან მოგვწყინდება, ბაბო, მაგრამ, იმედია, მალე ჩამოხვალ. სად არის დათა? უნდა მოსულიყო.  
**ნესტორ.** დათა უკვე მოვიდა, კაბინეტშია.  
**თეკლე.** მერე და რატომ არ გამოდის? კოტე და გაბოც უნდა მოსულიყვნენ.

**ნესტორ.** ისინიც მასთან არიან.  
**თეკლე.** მართლა? (გადის).  
**ნესტორ.** ბაბო, იცი, რისთვის მიჰყევხართ თურმე სოფელში?  
**ბაბო.** როგორ თუ რისთვის?  
**ნესტორ.** ჰკითხე მამაჩემს ის ვეტყვის.  
**პლატონ.** (უკმაყოფილოდ) ნესტორ!  
**ნესტორ.** უთხარი, მამაჩემო, გააფრთხილე, თორემ დამნაშავე და ეპოტინებოდეს! შე კაი კაცო, ჩვენც გვიცხოვრია ქვეყანაზე. ჩვენც ყველაფერში შენ იქნები.

ბაბო. რა ამბავია, ბატონო პლატონ?  
ნესტორ. მამა შენს უკვე ჰყოლია შენთვის საქმრო გამორჩეული და ჩასვლისას კიდევაც უნდა მასზე ჯვარი დაიწეროს.

ბაბო. როგორ?!  
ნესტორ. დიახ, სწორედ ასე ყოფილა. ეხლა შენს ქალობაზეა დამოკიდებული, როგორ მოიქცევი.

ბაბო. ნესტორ, მეშინიან! ასე მგონია, ვილაც მტრებთან მივდიოდე.

პლატონ. რის გეშინიან, შვილო?

ბაბო. როგორ მოუვიდა მამას აზრად ასე ჩემი გათხოვება. ნუ თუ მართალია, ბატონო პლატონ?

პლატონ. დაწყნარდი, დაწყნარდი, შვილო. აბა რა შენი გათხოვების დროა ჯერ მაგრამ, ბაბო, არც ისე პატარა ხარ, რომ სხვების მწუხარება არ გაგეგებოდეს შვილო, ჰკვიანად მოიქეცი, თორემ ვფიცავ ღმერთს, არც შენ დაგადგება კარგი დღე და არც იმ ჩემს შვილებს.

ნესტორ. მამა! მამა!

პლატონ. ჩუმი! აღარ ვარ კაცი! გონებას ვკარგავ თქვენის გულისათვის, გონებას.

ნესტორ. მამა, მე მიყვარს ბაბო, ბაბოს მე უყვარვარ და ვერავინ შესძლებს ჩვენს დაშორებას. ამაზე ლაპარაკიც მეტია.

ბაბო. (ცრემლებს ვერ იმაგრებს) მამა, მამა! ნუ თუ დანაშაულობა ჩავიდინე?! მაპატიეთ, მაპატიეთ...

პლატონ. რას მოვესწარი, რას მოვესწარი. გეყოფათ, დანაშაული და ბრწყინი მე ვარ, თორემ თქვენ ჯვარი გწერიათ. განა არ ვიცი, რომ მე უღონო ვარ. ოჰ, ნეტამც ფეხი მომტეხოდა და აქ არ ჩამოვსულიყავი. რა ამბავი უნდა მიუტანო საწყალ დედაბერს. ბაბო, გავემგზავროთ, შვილო დრო უნდა იყოს. (გადის. მოისმის მისი ხმა) თეკლე, დათა, წასვლის დრო არის.

ბაბო. რომ მართალი გამოდგეს, ნესტორ? რომ მართლა მოინდომოს მამამ ჩემი ძალით გათხოვება?

ნესტორ. ორ-სამ დღეში მეც იქ ვიქნები. თუ ძალას მოიტანებენ, ენახოთ, ვისი გაიტანს.

(მოისმის ხმები: „არ შეიძლება, როგორ შეიძლება, გაჩუმიდით კაცო!“)  
(დათა გაბოს გამოჰყავს).

გაბო. დათა, დათა, რა მოგდის. კაცო? რა ამბავია, ნუ თუ არ გრცხვენინან?

დათა. (დარცხვენილი) რალაც უაზროთ მოვიქეცი. არ ვიცი, გაბო, რას ჩავდივარ. სულ ამებნა გზა-კვალი. (ნესტორს და ბაბოს) ა, თქვენ აქა ხართ!

ბაბო. დათა, ხომ გაგვაცილებთ?

დათა. რა თქმა უნდა, გაგაცილებთ, რისთვის მეკითხები, განა არ უნდა გაგაცილოთ?

ბაბო. არა ისე გკითხეთ...

დათა. ჰო, იხე... რაც იცი, იმაზე კვლავ არ უნდა ილაპარაკო...

ბაბო. უკაცრავად, დათა.

დათა. კარგი, კმარა, ბაბო ერთი მითხარი, რა არის აქ ბოდიშის მოსახდელი. შენც შეეჩვიე ცბიერებას?

გაბო. დათა შენ ძალიან აღელვებული უნდა იყო, თორემ ბაბოზე ეგ როგორ ითქმის.

დათა. ვიცი, ვიცი, რომ არ ითქმის. აჰა, მე თვითონ მოვიხდი ბაბოს წინაშე ბოდიშს, ხომ დაკმაყოფილდი!

ნესტორ. ალბად კოტესთან გქონდა ლაპარაკი. იმისგან ადვილი შესაძლებელია, რომ...

დათა. ძმური სიყვარული ხომ არ გალაპარაკებს? იქნება შენში გაიღვიძა ნათესაობრივმა გრძნობამ? გვიან არის, ჩემო ძმაო, გვიან. ჰო, მართლა, მგონია შენ აქ რჩები?

ნესტორ. აქ უნდა დავრჩე, რადგან სათვისტომომ მომანდო მასლების შეკრება და ..

დათა. ო, რა კეთილშობილი ყმაწვილი ბრძანდები. არა კომედიას ბოლო უნდა მოელოს. რადგან ბაბო მიდის, შენც თან უნდა გაჰყვე.

ნესტორ. ხომ გითხარი, რომ საქმე მაქვს და აქ უნდა დავრჩე. ამასთან ეს ისეთი უბრალო საკითხია, რომ...

დათა. ო, მე დამავიწყდა, რომ შენ ბრძენი ყმაწვილი ბრძანდები და სხვის დარიგებას არ საჭიროებ.

ნესტორ. შენ მართლა აღელვებული ხარ. არ ვიცი კი, რა არის მიზეზი.

დათა. არ იცი?

ნესტორ. სწორედ არ ვიცი. თუ კოტემ...

დათა. სტყუი.

ნესტორ. თუ არ გსურს შენს სახლში ვიცხოვრო, შემიძლიან ამხანაგთან გადავიდე.

დათა. ტფუ! ეგლა გაკლია, სიძუნწე შემომწამო.

ნესტორ. არა, დავით, მე მაგნიური არაფერი მიფიქრია.

გაბო. (ბაბოს ჩუმიად ელაპარაკებოდა).

(გაბო და ბაბო გავლენ).

დათა. ეხლა არავინ გვიყურებს და შეგვიძლიან გულახდილად ვილაპარაკოთ.

ნესტორ. სიამოვნებით, დავით.

დათა. რისთვის გადაგიწყვეტია აქ დარჩენა?

ნესტორ. (არ უპასუხებს).

დათა. რად არ მიპასუხებ? განა არ ვიცი, რომ კეთილშობილური გრძნობის გამოჩენა განიზრახე და რამდენიმე დღით მაინც გინდა ოცნებით მაცხოვრო! შენ ხომ იცი, რომ ბაბო ჩემს საბედისწეროდ ყოფილა დაბადებული.

ნესტორ. მაგრამ მე ღრმად მრწამს, რომ შენ დასძლევ თავს და შავს ფიქრებს მოიშორებ.

დათა. თუ ვერ დავსძლიე თავი?

ნესტორ. სხვა გზა არ არის, უნდა დასძლიო.

დათა. თუ ვერა მეთქი?

ნესტორ. იმ შემთხვევაში სუსტი ყოფილხარ და...

დათა. და დალუპვა მომელის არა?

ნესტორ. მაგრამ შენ ბუნებით მძლავრი ხარ და არც უნდა დაილუპო.

დათა. თუ ამ შემთხვევაში ვერ გამოვიჩინე სიმძლავრე?

ნესტორ. დათა, დათა, რა ხდება ჩვენს შორის! ნუ თუ ეს აუცილებელია!

დათა, ნესტორ, შენ ხომ მძლავრი ხარ?

ნესტორ. მე არ ვთვლი ჩემს თავს სუსტად.

დათა. მაშ შენთვის შესაძლებელი იქნება, რომ ბაბოს თავი გაანებო.

ნესტორ. მე ვერ ვხედავ აზრს ასეთს საქციელში.

დათა. სამაგიეროდ მე ვხედავ დიდს აზრს.

ნესტორ. ეს შეუძლებელია.

დათა. ნესტორ, ბაბოს უნდა ჩამოშორდე.

ნესტორ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მე ჩემს საკუთარს თავს განვშორდები...

დათა. რომ გთხოვო, რომ შეგვედრო...

ნესტორ. აჰ! რას ჩადიხარ დავით!..

დათა. არა, არა მე ვხუმრობდი, ვხუმრობდი... ხოლო ეხლავე გამცილდი, წაჰყე მამას და ბაბოს. შენი აქ მოცდა საჭირო არ არის და ჩემი შეურაცმყოფელიცაა.

ნესტორ. თუ ასეთია შენი ნება, რა გაეწყობა, გემორჩილები.

(დათა რამდენიმე ხანს დგას უძრავად).

(შემოდინ თეკლე და კოტე).

დათა. (მიდის).

თეკლე. დათა, დათა!

დათა. (არაფერს უპასუხებს. გადის).

(დასასრული იქნება).

სიო ჭანტურიშვილი.

